„აია-ჯესს" სასწავლო გაცვლითი პროექტები

თანამედროვე განათლების სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაზე, არამედ მის გამოყენებაზე. ამ უნარჩვევის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგანმანათლებლო სისტემაში სასწავლო – გაცვლითი პროგრამის დანერგვას. სერვანტესის სახელობის გიმნაზიას „აია-ჯესს" სასწავლო გაცვლითი პროექტები აქვს სხვადასხვა ქვეყნის სკოლებსა და სასწავლო ცენტრებთან მათ შორისაა უკრაინის (N 176 სპეციალიზებული ინგლისურ-ესპანური სკოლა), რუსეთის (ლომონოსოვის სახელობის მათემატიკური სკოლა), დანიის (დაბა უგეს სკოლა-კოლეჯი), ესპანეთის (მადრიდის საერთაშორისო აკადემია „Inhispana" და „Academia Contacto", გრანადის სასწავლო ცენტრი „Elese", სალამანკას ენების შემსწავლელი საერთაშორისო სკოლა „Colegio Delibes"), დიდი ბრიტანეთის (სასწავლო ცენტრები „SGI" და „UK College of English") ... სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აღნიშნულ ცენტრებთან.

გიმნაზია აია-GESS-ის მოსწავლეები ლონდონში

გიმნაზია აია–GESS-ის მეთერთმეტე კლასელები ყოველწლიური სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუმრობენ ლონდონს. გიმნაზიას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლო ცენტრებთან "SGI" და „UK College of English". მოსწავლეები ესწრებიან პარტნიორი სასწავლო აკადემიების ინგლისური ენის გაკვეთილებს, პროგრამის დასასრულს აბარებენ გამოცდებს და იღებენ ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო B2 და C1 დონის სერთიფიკატებს, სასწავლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემეცნებითი ექსკურსიები აქტივობები.

სკოლა გაცემული გრანტის ფარგლებში პროექტში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებსაც, რომლებმაც სკოლის მიერ ორგანიზებულ რესპუბლიკურ კონკურსში „საუკეთესო პატარა მთარგმნელი" საპრიზო ადგილები დაიკავეს. სერვანტესის სახელობის სკოლა-ლოცეუმის "აია-GESS" თაოსნობით, ასოციაციის "გზა მომავლისაკენ", შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტების მხარდაჭერით ყოველი წლის ივნისში ტარდებოდა რესპუბლიკური კონკურსი "საუკეთესო პატარა მთარგმნელი". კონკურსში რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლების ხუთასამდე მოსწავლე მონაწილეობდა. დაუსწრებელ ტურში გამარჯვების შემდეგ კონკურსანტები მონაწილეობას იღებდნენ დასწრებულ ტურში. დასწრებული

ტურში პირველ ადგილზე გასულ მოსწავლეებს სკოლა აგზავნიდა ლონდონში ორკვირიანი სასწავლო პროგრამით.

ლონდონში ორკვირიანი სასწავლო პროგრამით სკოლამ გააგზავნა **ნიკა კორკელია, ქეთი კერვალიშვილი** (2006 წ) **ნიკა რიგიშვილი** (აია -ჯესს), **ვახტანგ ჩქარეული** (აია-ჯესს), **შოთა გოგოლიძე** (საჩხერის N2 საჯარო სკოლა), **ნინო მაჭარაშვილი** (2007 წელი); **ნინო ჟიჟილაშვილი, ნინო ქვათაძე, ნინო კაკაბაძე, გვანცა კომბეგაშვილი, მარი ნუცუბიძე, თეონა ტაბატაძე, ოთარ გველესიანი, შოთა სამსონაძე, ზაზა ჭადაშვილი** (2008 წელი); **სალომე გავაშელიშვილი, სოფო ბოლქვაძე, ლანა ჯალაღონია, თამუნა შავერდაშვილი** (2009 წელი) .

ლონდონი- 2007 წლის მონაწილეები

2008 წლის პროექტის მონაწილეები

2010 წლის პროექტის მონაწილეები

2011 წლის გაზაფხულზე ლონდონში ჩვენი სკოლის მოსწავლეებთან ერთად გაემგზავრნენ ზესტაფონის სკოლის „ანაბასისი“ და თბილისის 98-ე საჯარო სკოლის

მოსწავლეებიც. **ანა ჭელიძე,** მარი მელიქიშვილი, ნინო ირემაძე, გვანცა ნავროზაშვილი, ანა დალაქიშვილი, დავით მარხულია, ქეთევან ხუციშვილი, ანა გოროზია, დავით ზარნაძე, მარიამ წიწიკაშვილი, ნინო პერტაია, ნინო ომიაძე, ანა ოგანეზოვა.

2012 წლის 25 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე ლონდონში სასწავლო პროგრამით იმყოფებოდნენ **ელენე დარციმელია, ნინო ჯიჯავაძე, სალომე თავდგირიძე, ნიკა ჯაშიაშვილი, დეა აბულაძე.**

2014 წლის 15 თებერვლიდან 3 მარტამდე ლონდონში იმყოფებოდნენ, ეუფლებოდნენ ინგლისურს და ღებულობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საინტერესო აქტივობებში. **გიორგი ციმინტია, ნათია კელაპტრიშვილი, მალვინა ბოკუჩავა, არჩილ ბექირიშვილი, დავით თუთბერიძე, ლევან მინდელი, მედეა კოპაძე და ნიკა ჯაშიაშვილი.**

2015 წლის 11 იანვრიდან 25 იანვრამდე ლონდონში იმყოფებოდნენ **ნინო ჭუმბურიძე, მარიამ გაგნიძე, თეკლა დარციმელია, ნინო ბექირიშვილი, გიორგი დარციმელია , რუსუდან ბოლქვაძე**

2017 წელს ლონდონის პროექტის მონაწილეები იყვნენ: **ნათია მეტონიძე, ნიკა ოქრუაშვილი, დავით ცუცქირიძე, გიორგი ჯავახიშვილი, გიორგი ნარიმანიძე, თემურ სიმონიშვილი, ირაკლი შამუგია, ბახვა ერისთავი, ლევან ეგრისელაშვილი, ირინე ჭყოიძე, თამარ ხელაძე, ნინო ჯანაშია, ანი აბზიანიძე, ლუკა კაპანაძე, თათა მოწონელიძე.**

2018 წლის თებერვალში „UK College of English" -ის სასწავლო პროგრამაში **მონაწილეობდნენ: თეონა ხელაძე, დავით შავდათუაშვილი, ელენე ბახუტაშვილი, თამაზ ჩხენკელი, გიორგი ეკალაძე, ანი მეტრეველი, გიორგი კახურაშვილი, დავით გობეჯიშვილი, თორნიკე ჩუბინიძე, ერეკლე ჩუბინიძე, ირაკლი ჭურჭელაური და ლუკა ადუაშვილი.**

2019 წლის 7-21 დეკემბერს „UK College of English” -ის სტუდენტები იყვნენ: **დავით გობეჯიშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, ლუკა გეგეჭკორი, მიხეილ ჩიმაკაძე, მარიამ მაღრაძე, მარიამ მესხი, მარიამ სიმონიშვილი, ბარბარე ბიჭიკაშვილი, თინათინ კვირიკაშვილი.**

„ნისლიანი ალბიონის ნახვა , ბევრისთვის აუხდენელი ოცნება, ჩვენი მოსწავლეებისთვის რეალობაა. ისინი სწავლობენ საერთაშორისო საგანმანათლებლო სკოლებში. სკოლები ლონდონის ცენტრში მდებარეობს. გაკვეთილები ძირითადად მეტყველების დახვეწაზე , ლექსიკის განვითარებაზეა აგებული. მოსწავლეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან. აქ შეგიძლია დაუმეგობრდე ჩინელს, ესპანელს, ფრანგს, გერმანელს, იტალიელს, რუსს, ამერიკელს, საუდის არაბელს, ბრაზილიელს...გაკვეთილების შემდეგ ექსკურსიები პროგრამის განუყოფელი ნაწილია. ეს პროექტი ენის პრაქტიკის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია“ თამარ უსანეთაშვილი, პროექტის ხელმძღვანელი, უცხო ენების კათედრის გამგე.

ესპანეთში

სეტვანტესის სახელობის სკოლის მიერ ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეებს სკოლა აგზავნის საზღვარგარეთის სხვადასხვა სასწავლო ცენტრებში. 2005 წლიდან ჩვენი სკოლის მოსწავლეები ყოველწლიურად, სასწავლო პროგრამით მიემგზავრებიან ესპანეთში და მადრიდის, სალამანკას, გრანადის სასწავლო ცენტრებში სწავლობენ. ესპანური ენის სწავლის სრულყოფასა და მეტყველების დახვეწაზე აგებული გაკვეთილებითა და ექსკურსიებით გაჯერებული პროექტები დაუვიწყარი მოგონებაა თითოეული მონაწილისთვის. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ესპანეთის სხვადასხვა სასწავლო ცენტრებთან -მადრიდის საერთაშორისო აკადემია „Inhispana”, გრანადის სასწავლო ცენტრი „Elese” სალამანკას ენების შემსწავლელი საერთაშორისო სკოლა „Colegio Delibes”.

მადრიდის ესპანური ენის საერთაშორისო სკოლაში გაგზავნილნი იყვნენ: **ანა კავთელიშვილი** (2005 წ) **თეონა ლავრელაშვილი, ასმათ ნასყიდაშვილი, თამუნა ჯობავა** (2006 წ) **ნინო ქარქაშაძე, გვანცა კომბეგაშვილი** (2007 წ)

რესპუბლიკური კონკურსის "საუკეთესო პატარა მთარგმნელი" ესპანური ენის სექციის 2009 წლის გამარჯვებულები ნოემბრის თვეში სასწავლო პროგრამით იმყოფებოდნენ ესპანეთის ქალაქ სალამანკაში პროექტის მონაწილეებია: **ნინო ჟიჟილაშვილი, ნინო ირემაძე, გვანცა ნავროზაშვილი, თათული ჯაფოშვილი და ნინო პაპუნაშვილი.** ჯგუფს ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი რუსუდან ბოლქვაძე.

2010-2011 სასწავლო წლის მანძილზე სხვადასხვა რესპუბლიკური კონკურსების გამარჯვებული მოსწავლეები ტრადიციისამებრ 19 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე იმყოფებოდნენ ესპანეთში ქალაქ გრანადაში ორკვირიანი სასწავლო პროგრამით. პროგრამაში მონაწილეობდნენ: **სოფო ლელაშვილი, ნინო ირემაძე, ელენე დარციმელია, ნანა ხარაბაძე და თათია სოსელია.** ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, სკოლის დირექტორთა საჭოს წევრები ნონა ბოლქვაძე და ლელა ბოჭოიძე. ჩვენმა მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს ესპანური ენის ფლობის მაღალი დონე და შესაბამისი სერთიფიკატებიც მიიღეს.

2013 წლის 27 იანვრიდან 14 თებერვლამდე ტრადიციისამებრ ჩვენი სკოლის მოსწავლეები ესპანეთში, გრანადის სასწავლო ცენტრში „ELESE" იმყოფებოდნენ. გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება გრანადის ენის საერთაშორისო აკადემიასთან. სკოლა გახდა სასწავლო ცენტრის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. პროგრამაში მონაწილეობდნენ: **ნინო ბექირიშვილი, მარიამ გაგნიძე, თეკლა დარციმელია, ირაკლი შამუგია** და **გიორგი მარგიანი.**

2016-2017 სასწავლო წლის სასწავლო პროგრამით იმყოფებოდნენ ჩვენი მოსწავლეები ესპანეთში, ქალაქ სალამანკაში. გიმნაზიას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლო ცენტრთან ¨Colegio Delibes". პროგრამაში მონაწილეობდნენ: **ანანო მინაძე, ანი აბზიანიძე, სოფიო ვადაჭკორია, ნინი ხუნძაყიშვილი, ლიზი სამხარაძე, დავით ცუცქირიძე, თეიმურაზ სიმონიშვილი, თემურ პეტაშვილი და გიორგი ნარიმანიძე.** სასწავლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემეცნებითი ექსკურსიები. მოსწავლეებს ქონდათ პროექტები ქალაქ

სალამანკას უნივერსიტეტში, რომელიც ერთ–ერთი უძველესია მსოფლიოში, იგი დაფუძნდა XII საუკუნეში. პროგრამის მონაწილეებმა დაიმსახურეს ესპანური ენის ცოდნის დამადასტურებელი B2 დონის სერთიფიკატები.

2018 წლის გაზაფხულზე მადრიდის საერთაშორისო სკოლაში „Academia Contacto" სწავლობდნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები ელენე ჭონიაშვილი, ჯული მუხაძე, ქეთა აფციაური, ლიკა ჩადუნელი, ნინო ჯავახიშვილი, სანდრო ქავზინაძე, თენგიზ ჭვრიტიძე.

ამერიკა

სხვადასხვა წლებში ჩვენი სკოლის წარმატებული მოსწავლეები ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო კოლეჯებში სწავლობდნენ. შთამბეჭდავია ერთი აკადემიური წლის მანძილზე მათ მიერ მოპოვებული წარმატებების ნუსხა.

ლიანა ქარცივაძე - როგორც FLEX-ის პროგრამის გამარჯვებული ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის ქალაქ სან ანტონიოში სწავლობდა.1 ოქროს მედალი, 9 სერთიფიკატი, 10 დიპლომი - ლიანა ქარცივაძის ამერიკული გამარჯვებების არასრული ჩამონათვალია.

ანა კურდღელაშვილი - ერთი წელი ამერიკის, ვაიომინგის შტატის ქალაქ შერიდანის უმაღლეს სკოლაში სწავლობდა. ოქროს მედალი და 13 დიპლომი ანას ამერიკული ოდისეის შედეგია

თეა ბასანიძე - ჯორჯიის შტატის მედისონის უმაღლესი სკოლის მოსწავლე საოცარი პოპულარობით სარგებლობდა სკოლასა და ქალაქში. 15 უმაღლესი ხარისხის დიპლომის მფლობელის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა სტატიები ამერიკულ პრესაში.

სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა ხანგრძლივობით ამერიკის საუკეთესო სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სახელმწიფო ან უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით, სწავლობდნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები **ქეთი მებუკე** (University Illinois of Chicago), **ნინი მებუკე (**Eastem Michigan University, University Illinois of Chicago), **ნათია მეტონიძე (Shadow Greek High School), ირაკლი შამუგია (**AUBURN UNIIVERSITY)**, დავით ცუცქირიძე** (EDVARD R.MURROW HIGH SCHOOL) **.**

სეულში

გიმნაზია აია-ჯესს ისა და კორეის HPWI –(Heavenly Culture, World Peace, Restoration of Light) მოსწავლეებს შორის ონლაინ შეხვედრები რეგულარულად ტარდება ,სადაც მოსწავლეები თვიანთ კულტურასა და ტრადიციებს უზიარებენ ერთმანეთს.

2018 წლის 7-15 თებერვალს გიმნაზია AIA GESS-ის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მშვიდობის საგანმანათლებლო ბანაკში ქალაქ სეულში. დღეები დატვირთული იყო საინტერესო აქტივობებით და გაჯერებული სითბოთი და ურთიერთ პატივისცემით.

დელეგაციის წევრები: **რუსუდან ბოლქვაძე, თამარ ლოლიშვილი, დარეჯან ლორთქიფანიძე, მარიამ მაღრაძე, თათია მოწონელიძე, ნანა კამლაძე, მარიამ ლომაურიძე, სოფიო ვადაჭკორია, გიორგი კახურაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი.**

პროექტის ხელმძღვანელები თამარ ლოლიშვილი და კრისტალ კიმ.

დანია . ქალაქ უგეს სკოლა.

რესპუბლიკური კონკურსის "BE THE BEST" 2009 წლის გამარჯვებულები ოქტომბრის თვეში სასწავლო გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ დანიაში. ნინო უშიკიშვილი, მარი გიგაური, ანა ფანცულაია, გივი გველესიანი, მიშიკო ხასაია, ნინო ჩიტიშვილი და ირაკლი სულაძე ქალაქ უგეს სკოლაში ორი კვირის განმავლობაში სწავლობდნენ.

კონკურსის გამარჯვებულები შეხვდნენ ქალაქის მერს, დაათვალიერეს ქალაქის ღირშესანიშნაობები, კოპენჰაგენი და გერმანიის ქალაქი ფლენსბურგი.